საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №198/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 24 ივლისის №-- საჩივრის საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ოქტომბრის №198/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა-განმარტება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის შესაბამისად.

მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახსნა-განმარტება წარუდგინა 2019 წლის 25 აპრილს.

1. საჩივარში მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე -- -- მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომელიც არ გაუგზავნა მხარეს კანონით დადგენილ ვადაში, რითაც ეზღუდება გასაჩივრების უფლება.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 24 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 31 იანვრის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის -- --, -- --№-- (საკადასტრო კოდი -- --) საჯარო რეესტრის ჩანაწერებში მიწის ნაკვეთის 1/2 ნაწილის -- -- კუთვნილ წილად ასახვის დავალდებულება, ხოლო დანარჩენი შენობა-ნაგებობების მიმართ არსებული მონაცემების უცვლელად დატოვება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 მაისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი და მოსარჩელე მხარეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 07 (შვიდი) დღის ვადა. 2017 წლის 05 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს, წარადგინა №-- გადაწყვეტილება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება - ქვითარი.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათით მიმართა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწემ და მოსამართლე -- -- შვებულებაში გასვლის გამო საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა მოითხოვა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 06 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში, ხოლო 2017 წლის 9 ივნისის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი. სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გაეგზავნათ მოპასუხე მხარეებს და დაევალათ, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, წერილობითი პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა.

2017 წლის 12 ივნისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 აგვისტოს განჩინებით ადმინისტრაციული საქმეზე №-- მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 6 ოქტომბერს 12:00 საათზე, რის შესახებაც ეცნობოთ მხარეებს (სხდომის დარბაზი №--).

-- -- სასამართლოს 2017 წლის 06 ოქტომბრის განჩინებით №-- ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაბმულ იქნენ -- --, -- --, -- -- და სს -- --.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 06 ოქტომბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული --, -- -- დაკავშირებით ტექ. აღრიცხვის მასალების სრულად წარდგენა სასამართლოში (სათანადო წესით დამოწმებული ასლის სახით).

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა 2018 წლის 05 ოქტომბერს.

2.2. არსებული სტატისტიკური მონაცემებით 2018 წლის პირველ ნახევარში მოსამართლე -- -- განსახილველად ჰქონდა 617 საქმე (მათ შორის 38 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე), საიდანაც დაასრულა 65.6% (405 საქმე).

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტებაში ყურადღებას ამახვილებს დატვირთულობაზე და სტატისტიკურ მონაცემებზე. აღნიშნავს, რომ 2017 წელს განსახილველად ჰქონდა 525 საქმე, მათ შორის 432 (კატეგორია), 29 - რეპრესირებულები, 11 - ფსიქიატრიული, 49 - ოჯახური ძალადობა, 2- მოთავსება, 1- ტერორიზმი, 1- უცხოელის გაძევება, 7- მეწარმის შემოწმება. 2017 წელს დაასრულა - 550 საქმე, მათ შორის 452 (კატეგორია), რეპრესირებულები - 34, ფსიქიატრიული - 11, ოჯახური ძალადობა - 49, მოთავსება - 2, ტერორიზმი - 1, უცხოელის გაძევება - 1, მეწარმის შემოწმება - 7. 2018 წელს განსახილველად ჰქონდა 569 საქმე, მათ შორის 523 (კატეგორია), რეპრესირებულები - 2, ფსიქიატრიული - 19, ოჯახური ძალადობა - 14, მოთავსება - 6, ტერორიზმი - 3, მეწარმის შუამდგომლობა - 8. 2018 წელს დაასრულა - 550 საქმე, მათ შორის 452 (კატეგორია), რეპრესირებულები - 4, ფსიქიატრიული - 19, ოჯახური ძალადობა - 14, მოთავსება - 6, ტერორიზმი - 3, მეწარმის შუამდგომლობა - 8.

მოსამართლე ასევე ყურადღებას ამახვილებს სხდომების რაოდენობაზე და აღნიშნავს, რომ 2017 წლის ივნისიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით ჩაატარა 520 სხდომა, ხოლო 2018 წლის იანვრიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით - 944 სხდომა.

მოსამართლე აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაუბარებლობა გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებებით - საქმეთა და მიღებულ გადაწყვეტილებების სიმრავლით. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეს გასაჩივრების უფლებით არ უსარგებლია.

4. დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება[1].

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა 2018 წლის 05 ოქტომბერს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის კანონით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა, ვინაიდან, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადის გასვლიდან 6 თვისა და 19 დღის შემდეგ, რაც თავის მხრივ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს. თუმცა დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. შესაბამისად, მხარეს არ შეზღუდვია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ფუნდამენტური უფლება.

ამდენად, სტატისტიკური მონაცემების, მოსამართლის დატვირთულებისა და მხარეთა მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

ამავე კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმებისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის და ამავე კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №198/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი